

შპს „უნივერსალ აუდიტ კომპანი“ ს/ნ 431169585

რეგისტრირებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 18.01.2017წ; რეგისტრაციის N SARAS-F-175592

შპს „ჯიველი“

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისთვის

თელავი 2021

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

წარედგინება შპს “ჯიველი”-ს ხელმძღვანელობას

ჩვენ ჩავატარეთ შპს “ჯიველი”-ს (შემდგომში “კომპანია”) ფინანსური ანგარიშგების აუდიტორული შემოწმება. რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებას და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, სააღრიცხვო პოლიტიკისა და სხვა განმარტებითი ხასიათის ინფორმაციის შემცველ შენიშვნებს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (IFRS For SMES) შესაბამისად მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე და ისეთი შიდა კონტროლის სისტემაზე, რომელიც ხელმძღვანელობის თვალსაზრისით შესაძლებელს გახდის ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებულ არსებით უზუსტობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენ ვალდებულნი ვართ, ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული საერთაშორისო სტანდარტები მოითხოვს ეთიკის ნორმების დაცვას და აუდიტის ისე დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებით შენიშვნებზე ისეთი პროცედურების ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნას აუდიტორული მტკიცებულება. შერჩეული აუდიტორული მტკიცებულება დამოუკიდებელია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. ასეთი რისკის შეფასებისას აუდიტორი ითვალისწინებს შიდა კონტროლის არსებულ სისტემებს, რომელიც წინაპირობაა კომპანიის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. შიდა კონტროლის სისტემის შესწავლის მიზანს არ წარმოადგენს მისი ეფექტურობის შესახებ მოსაზრების გამოხატვა. აუდიტი ასევე მოიცავს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მართებულობის, სააღრიცხვო შეფასებების გონივრულობისა და ასევე ფინანსური ანგარიშგების მთლიანობაში წარდგენის შეფასებას.

დასკვნა

ჩვენი აზრით კომპანიის ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი საკითხის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრისათვის, მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის (IFRS For SMES) შესაბამისად.

შპს „უნივერსალ აუდიტ კომპანი

გარიგების პარტნიორი კ. გოგილაშვილი

09.09.2021წ

თელავი ქ. წამებულის ქ N11

ტელ: 595 72 99 72



შპს “ჯიველი“-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

Statement of Financial Position		ბალანსი	Note	31.12.2020	31.12.2019
Assets	აქტივები				
<u>Current assets</u>	<u>მიმდინარე აქტივები</u>				
Cash and cash equivalents	ფული და ფულის ექვივალენტები	14		134052	50289
Inventories	მარაგები	9		1026128	1036376
Trade and other receivables	დარიცხული მოთხოვნები	8		459615	331653
Prepayments	გადახდილი ავანსები	8		9180	113924
Other assets	სხვა აქტივები	8		402405	338793
Total current assets	სულ მიმდინარე აქტივები			2031380	1871035
<u>non-current assets</u>	<u>გრძელვადიანი აქტივები</u>				
Property, plant and equipment	ძირითადი საშუალებები	10		5451717	5231494
Investment property	საინვესტიციო ქონება				
Intangible assets	არამატერიალური აქტივები	10		763	763
Biological assets	ბიოლოგიური აქტივები				
Issued loans	გაცემული სესხები				
Total non-current assets	სულ გრძელვადიანი აქტივები	10		5452480	5232257
Total assets	სულ აქტივები			7483860	7103292
<u>Equity and liabilities</u>	<u>ვალდებულებები და კაპიტალი</u>				
<u>Current liabilities</u>	<u>მიმდინარე ვალდებულებები</u>				
Trade and other payables	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13		92122	124564
Current portion of borrowings	სესხის მიმდინარე ნაწილი				
Advances	მიღებული ავანსები				
Wages and salaries payable	გადასახდელი ხელფასები			13580	42559
Current tax payable	საგადასახადო ვალდებულებები			2207	34796

Dividends payable	გადასახადელი დივიდენდები			
Other payables	სხვა ვალდებულებები	6227		5944
Total current liabilities	სულ მიმდინარე ვალდებულებები	114136		207862
<u>Non-current liabilities</u>	<u>გრძელვადიანი ვალდებულებები</u>			
Long Term Borrowings	გრძელვადიანი სესხები	11-12	14988350	11610771
Other Long Term payables	სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	12	5866269	3406035
Total non-current liabilities	სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		20854619	15016806
Total liabilities	სულ ვალდებულებები		20968755	15224668
Equity	კაპიტალი			
Charter capital	საწესდებო კაპიტალი		14710	14710
Retained Earnings	გაუნაწილებელი მოგება/დაგროვილი ზარალი		-13499605	-8136086
Current period profit/ loss	მიმდინარე პერიოდის მოგება/ზარალი			
Total equity	სულ კაპიტალი		-13484895	8121376
Total equity and liabilities	სულ ვალდებულებები და კაპიტალი		7483860	7103292


დირექტორი

ჯერზი მარიან ბერძი

ფინანსური დირექტორი

მაკა მიქელაძე

31.05.2021წ



შპს „ჯიველი“-ს 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება (ხარჯების ფუნქციების მიხედვით)

Statement of Profit or Loss and Other პერიოდის მოგება-ზარალის უწყისი		2020	2019
Comprehensive Income	note		
Revenue	შემოსავალი	3 1519504	1606959
Cost of Service/ cost of goods	რეალიზებული საქონლის/მომსახურების თვითღირებულება	644121	1126542
Gross profit	საერთო მოგება	875383	480417
Other income	სხვა შემოსავალი	4 312997	218505
Administrative expenses	ადმინისტრაციული ხარჯები	(388455)	(601025)
labour cost/salary	ხელფასის ხარჯი	(6939)	
transport cost	ტრანსპორტირების ხარჯი	(40924)	
Utility	კომუნალური ხარჯი	(25645)	(41366)
Rent expenses	იჯარის ხარჯი	(2400)	
Business trips	მივლინების ხარჯი	(2482)	
Insurance	დაზღვევის ხარჯი	(248980)	(235245)
Depreciation and amortization	ცვეთა და ამორტიზაცია	(519710)	(201432)
Other operating expenses	სხვა საოპერაციო ხარჯი	6 (47155)	(380146)
Operating profit	საოპერაციო მოგება		
Foreign exchange gain,net	კურსთა შორის სახაობით მიღებული მოგება/ზარალი		
Interest income	საპროცენტო შემოსავალი		
Interest expense	საპროცენტო ხარჯი	5 (1667999)	(1050942)
Finance income	ფინანსური მოგება		
Other income	სხვა შემოსავალი	59825	
Other expenses	სხვა ხარჯები	7 (3708190)	(611573)
Profit before tax from	მოგება დაბეგვრამდე	(5363519)	(2042661)
continuing operations			
Income Tax Expense	მოგების გადასახადი		
Net profit/(loss) for the year	პერიოდის მოგება/ზარალი	(5363519)	(2042661)

Equity balance at 01.01.2020	კაპიტალის ნაშთი 01.01.2020	(8121376)	(6078715)
Payment of dividends	გადახდილი დივიდენდები		
Charter capital	საწესდებო კაპიტალი		
Changes from the previous period	წინა პერიოდის ცვლილებები	14	
Equity balance at 31.12.2020	კაპიტალის ნაშთი 31.12.2020	(13484895)	(8121376)

დირექტორი
ჯერზი მარიან ბერძი

ფინანსური დირექტორი

მაკა მიქელაძე

31.05.2021წ



შპს „ჯიველი“-ს ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

Statement of Cash Flows ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი

Cash flows from operating activities ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო

საქმიანობიდან

Money received from clients and debtors	კლიენტებიდან და დებიტორებიდან მიღებული ფულადი სახსრები	1385905
Cash paid to suppliers	მომწოდებლებზე გადახდილი სახსრები	(946818)
Paid salaries (non capital fees)	გადახდილი ხელფასები (არა კაპიტალური)	(308050)
Paid Taxes	გადახდილი გადასახადები	(172813)
interest rate paid	გადახდილი პროცენტები	(20248)
Flow from other operating activities	ფულადი ნაკადები სხვა საოპერაციო საქმიანობიდან	35078
Net cash from operating activities	წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-26946

Cash flows from investing activities	ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან	
Purchase of assets	ძირითადი საშუალებების შეძენა	(238494)
Paid salaries (capital fees)	გადახდილი ხელფასები (კაპიტალური)	(260140)
Sale of assets	ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	37327
Purchase/Sale of intangible assets	არამატერიალური აქტივების შეძენა/რეალიზაცია	
Purchase/Sale share of another enterprise	სხვა საწარმოს წილის შეძენა/რეალიზაცია	
Net cash used in investing activities	წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(461307)

Cash flows from financing activities	ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან	
Cash from the release of shares and other equity instruments	აქციების და საკუთარი კაპიტალის სხვა ინსტრუმენტების გამოშვების შედეგად მიღებული ფულადი სახსრები	
Cash paid for the acquisition or sale of shares to the owners	მესაკუთრეთათვის აქციების შეძენის ან გაყიდვის მიზნით გადახდილი თანხები	
Payment of dividends	გადახდილი დივიდენდები	762843
Receiving of credits	სესხის აღება	(194093)
Amounts paid to cover loans	სესხების დასაფარად გადახდილი თანხები	
Amount paid to reduce financing leases	ფინანსური იჯარის შესამცირებლად გადახდილი თანხები	
Net cash used in financing activities	წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	568750

Net increase/(decrease) in cash and cash equivalents	წმინდა ფულადი სახსრების ცვლილება	80497
Effect of exchange rate on cash and cash equivalents	კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	3267
Cash and cash equivalents at beginning of period	საწყისი ნაშთი	50289
Cash and cash equivalents at end of period	ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	134053

დირექტორი
ჯერზი მარიან ბერძი

ფინანსური დირექტორი

მაკა მიქელაძე

31.05.2021წ



შპს "ჯიველი"-ს სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგები
განმარტებითი შენიშვნები 2020 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს “ჯიველი” ს ძირითადი საქმიანობაა ღვინის წარმოება და რეალიზაცია. საქმიანობის ადგილია თელავი, სოფ. ვარდისუბანი.

საზოგადოების დამფუძნებლები არიან:

ავთანდილ ჭარბაძე	24%
ზურაბ ჭარბაძე	25%
ჯერზი მარიან ბერძი	51%

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (IFRS for SMEs) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში: “ლარში”, ხოლო ფინანსურ ღიზინგთან დაკავშირებული ვალდებულებები წარმოდგენილია აგრეთვე აშშ დოლარშიც.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთის დარიცხვები ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილებით მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდით გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	2 %
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა	5-50%
ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	10-30%
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	2-50%
ტრანსპორტი	20%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად. ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულები

დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „პირველი შემოსავალში-პირველი გასავალში“ („ფიფო“) მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

მოგების გადასახადი

2017 წლის 01 იანვრიდან მოგების გადასახადის დაბეგვრის მიზნით მოქმედებს ე.წ. „ესტონური მოდელი“, რის მიხედვითაც საწარმო მოგების გადასახადისგან გათავისუფლებულია, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა:

ა) ხდება პარტნიორებზე მოგების განაწილება დივიდენდის სახით

ბ) გაწეულია ხარჯი ან სხვა გადახდა რაც დაკავშირებული არ არის საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობასთან

გ) უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება ან ფულადის სახსრების გადაცემა

დ) საგადასახადო კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით წარმომადგენლობითი ხარჯის გაწევა

3. ამონაგები

	2020	2019
	GEL	GEL
საქონლის რეალიზაციიდან	1255415	1518060
მომსახურების რეალიზაციიდან	260107	71776
სხვა	3982	17123
სულ	1519504	1606959

4. სხვა შემოსავალი

	2020	2019
	GEL	GEL
ყურძნის საბაზრო ღირებულება (ჩვენი ვენახებიდან)	220634	166209
თანა დაფუნასება	18732	40394
ქონების რეალიზაცია	37327	
ქონების თვითღირებულება	(20446)	
საშემოსავლოს, დაზღვევის, საპენსიოს დაბრუნება	56750	3318
		8584
	312997	218505
სულ სხვა შემოსავალი		

5. ფინანსური დანახარჯები

	2020	2019
	GEL	GEL
საბანკო საპროცენტო ხარჯი	(20218)	(25710)
საპროცენტო ხარჯი პარტნიორიდან მიღებულ სესხზე	(1647781)	(1025232)
	(1667999)	(1050942)

6. სხვა ხარჯები

ქონების და სხვა საგადასახადო ხარჯი	55307
საპენსიო სააგენტოში შენატანი	6679
რემონტის ხარჯები	26475
100 ლარამდე ქონების ღირ-ბა	890
ოფისის ხარჯები	1392

საბანკო ხარჯები	4655
დამხმარე მასალები	13940
ლაბორატორიული მომსახურება	15190
საკონსულტაციო მომსახურება	258
ტესტირების ხარჯი	237
გაყიდვების საკომისიო	9395
საკომუნიკაციო ხარჯი	1486
დაცვის მომსახურება	30508
შტრიხკოდების დიზაინი	712
ვენახის მოვლის ხარჯი	295354
რთველი 2020 თვითღირებულება	40486
უსასყიდლო რეალიზაცია	314
წარმოების დანაკარგი	1527
გამოფენის ნიმუშები	741
იჯარის შეწყვეტის ხარჯი	3879
შრომის დაცვის მომსახურება	3509
იურიდიული მომსახურება	3264
საწევრო გადასახადი	680
სასწორის დამოწმების ხარჯი	763
სხვა სამეურნეო ხარჯი	2069

519710

7. სხვა ფინანსური ხარჯები	31.12.2020 GEL	31.12.2019 GEL
საკურსო სხვაობა (სესხის გადაფასება)	(3708190)	(611573)

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31.12.2020 GEL	31.12.2019 GEL
81. სავაჭრო მოთხოვნები	459615	331653
8.2. სხვა მოთხოვნები (პერსონალის მიმართ)	402405	338793
8.3 გაცემული ავანსები	9180	113924

871200

784370

9. საქონელი	31.12.2020	31.12.2019
-------------	------------	------------

საქონელი და ნედლეული

GEL

GEL

1026128

1036376

1026128

1036376

10. ძირითადი საშუალებები

	შენიშვნა ნაგებობები დაუმთავრებელი მშენებლობა	მანქანადან ადგარები	ტრანსპორტი	ოფისის აღწერები ლობა, ავიჯი და ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	არამატერი ალური აქტივები	მიწა	სულ
თვითღირებულება								
01.01.2020	2152874	1504493	114091	297470	1143856	763	18710	5232257
შეძენა	123560	92297		35994	246783			498634
რეალიზაცია			18195	3142	1779			23116
31.12.2020	2276434	1596790	95896	330322	1388860	763	18710	5707775
ცვეთა და ამორტიზაცია	51166	98694	35412	41109	28914			255295
თვითღირებულება	2225268	1498096	60484	289213	1359946	763	18710	5452480
31.12.2019	2152874	1504493	114091	297470	1143856	763	18710	5232257
ნაშთი . 31.12.2020	2225268	1498096	60484	289213	1359946	763	18710	5452480

11. საბანკო სესხები

31.12.2020

31.12.2019

GEL

GEL

TBC Bank

127049

164478

12. ვალდებულებები პარტნიორის მიმართ

31.12.2020
GEL31.12.2019
GEL

11.1. პარტნიორიდან მიღებული სესხები

14851296

11437802

11.2. პარტნიორიდან მიღებულ სესხზე
გადასახდელი პროცენტი

5866269

3406034

20717565

14843836

პარტნიორიდან მიღებულ სესხზე დარიცხული % შეადგენს 8-10%-ს გრძელვადიანი ვალდებულებები
პარტნიორის მიმართ:

	31.12.2019				31.12.2020			სესხის განაკვეთი %
ვალუტა	პარტნიორიდან მიღებული სესხი	გადასახდელი პროცენტი პარტნიორიდან მიღებულ სესხზე	სულ		პარტნიორიდან მიღებული სესხი	გადასახდელი პროცენტი პარტნიორიდან მიღებულ სესხზე	სულ	
USD	476947	160828	637775		476947	217507	6944545	8-10%
EUR	3137579	917535	4055114		3302893	1280935	4583828	8-10%

13. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები 31/12/2020 მდგომარეობით შეადგენს 92122 ლარი; 31/12/2019 მდგომარეობით შეადგენს 124564 ლარი.

14. ფულადი სახსრები და ექვივალენტები

	2020	2019
	GEL	GEL
ნაღდი ფული	9747	49810
ფულადი სახსრები ბანკში	124306	479
	134053	50289

15. ფინანსური კოეფიციენტები

1. ლიკვიდურობის კოეფიციენტები (Liquidity Ratio)

1.1. ფულით დაფარვის კოეფიციენტი (Cash coverage ratio) აჩვენებს არსებული ფულის სიდიდეს გადასახდელ პროცენტზე. გადახდის საკმარისი უნარის საჩვენებლად თანაფარდობა უნდა იყოს 1 ზე მეტი /თანაფარდობა ჩვეულებრივ გამოიყენება გამსესხებლების მიერ იმის დასადგენად, განიცდიან თუ არა არსებული მსესხებლები ფინანსურ სირთულეს და შეუძლიათ თუ არა მათ სესხის აღება ახალი კრედიტორებისგან.

$$\text{Cash Coverage Ratio} = (\text{მოგება დაბეგვრამდე} + \text{არაფულადი გასავლები}) \div \text{საპროცენტო ხარჯი} = (-5363519 + 248980) / 1677999 = -3.21$$

1.2 . მიმდინარე კოეფიციენტი (Current ratio) ზომავს მიმდინარე აქტივები რამდენად ფარავს მიმდინარე ვალდებულებებს. თეორიულად, რაც მაღალია მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი, მით მაღალია კომპანიის შესაძლებლობა დაფაროს თავისი ვალდებულებები, თუმცა ამ კოეფიციენტის საფუძველზე შესაძლოა მიღებულ იქნეს მხოლოდ მიახლოებითი შეფასება, რამდენადაც იგი არ ითვალისწინებს მიმდინარე აქტივების ცალკეული ელემენტების ლიკვიდურობას.

Current ratio = მიმდინარე აქტივები / მიმდინარე ვალდებულებები

$$\text{Current ratio} = 2030696 / 113437 = 17.9$$

1.3. სწრაფი ლიკვიდურობა (Quick ratio) ფულადი თანხების ფარდობა მიმდინარე აქტივებთან. თანაფარდობა ზომავს კომპანიის შესაძლებლობას შეასრულოს თავისი მოკლევადიანი ვალდებულებები ყველაზე ლიკვიდური აქტივებით. ამ მიზეზით, თანაფარდობა გამორიცხავს მარაგს მიმდინარე აქტივებიდან.

$$\text{Quick Ratio} = (\text{მიმდინარე აქტივები} - \text{მარაგები}) / \text{მიმდინარე ვალდებულებები} = (2030696 - 1022443) / 113437 = 8.88$$

2. ბიზნესის აქტიურობის კოეფიციენტები (Activity Ratios)

2.1 კრედიტორული დავალიანების ბრუნვადობის კოეფიციენტი (Accounts payable turnover ratio) აჩვენებს რამდენად სწრაფად უხდის ბიზნესი მომწოდებლებსა და კრედიტორებს. გადახდის უნარიანობის ბრუნვის კოეფიციენტი არის კომპანიის ლიკვიდურობის ძირითადი მაჩვენებელი და ის, თუ როგორ მართავს ის ფულადი სახსრების მოძრაობას

$$\text{accounts payable turnover ratios} = \text{მთლიანი შესყიდვები} / \text{საშუალო სავაჭრო ვალდებულებები} = 1470563 / ((124564 + 92122) / 2) = 13.6$$

2.2 მოთხოვნების ბრუნვადობის კოეფიციენტი (Accounts receivable turnover ratio) დებიტორული დავალიანების ბრუნვის კოეფიციენტი არის ბუღალტრული აღრიცხვის ზომა, რომელიც გამოიყენება კომპანიის ეფექტურობის შესაფასებლად კლიენტებისგან დებიტორული დავალიანებების ამოღებისას. ეს თანაფარდობა ზომავს რამდენად კარგად იყენებს კომპანია და მართავს კრედიტს, რომელსაც ის ავრცელებს მომხმარებელზე და რამდენად სწრაფად ხდება ამ მოკლევადიანი

დავალიების ამოღება. ფირმას, რომელიც ეფექტურად აგროვებს დავალიანებას, ექნება უფრო მაღალი დებიტორული დავალიანების ბრუნვის კოეფიციენტი.

Accounts Receivables Turnover Ratio= ნეტო გაყიდვები / საშუალო წლიური სავაჭრო მოთხოვნები = $1519504 / (331653 + 459615) / 2 = 3.84$

2.3 ძირითადი საშუალებების ბრუნვაობის კოეფიციენტი (Fixed asset turnover ratio) ზომავს რამდენად ეფექტურად წარმოქმნის კომპანია გაყიდვებს თავისი ძირითადი საშუალებების გამოყენებით. არ არსებობს იდეალური თანაფარდობა, რომელიც ყველა ინდუსტრიის საორიენტაციოდ ითვლება. ამის ნაცვლად, ინვესტორებმა უნდა შეადარონ კომპანიის ძირითადი აქტივების ბრუნვის კოეფიციენტი იმავე სექტორის სხვა კომპანიებს. თუ კომპანიას აქვს უფრო მაღალი ფიქსირებული აქტივების ბრუნვის კოეფიციენტი ვიდრე მისი კონკურენტები, ეს აჩვენებს, რომ კომპანია იყენებს თავის ძირითად აქტივებს გაყიდვების უკეთესად გამომუშავებისათვის, ვიდრე მის კონკურენტებს.

Fixed Asset Turnover Ratio = ნეტო გაყიდვები / ნეტო ძირითადი საშუალებები
= $1519504 / 5452480 = 0.3$

2.4 საქონლის მარაგების ბრუნვაობის კოეფიციენტი (Inventory turnover ratio) მარაგების მოცულობა, რომელიც აუცილებელია სათანადო რეალიზაციის უზრუნველსაყოფად

Inventory Turnover ratio= გაყიდული საქონლის თვითღირებულება / საშუალო წლიური მარაგები = $644121 / (1022443 + 1036376) / 2 = 0.63$

2.5 გაყიდვების ფარდობა საბრუნავ კაპიტალთან (Sales to working capital ratio) აჩვენებს საბრუნავი კაპიტალის მოცულობას, რომელიც აუცილებელია მოცემული შემოსავლების უზრუნველსაყოფად.

Sales to Working Capital Ratio= ნეტო გაყიდვები / საშუალო საბრუნავი კაპიტალი = (გაყიდვები - უკან დაბრუნებები) / სავაჭრო მოთხოვნები + მარაგები - სავაჭრო ვალდებულებები =
= $1519504 / (459615 + 1022443 - 92122) = 1.09$

2.6 საბრუნავი კაპიტალის ბრუნვაობის კოეფიციენტი (Working capital turnover ratio) ზომავს კომპანიის უნარს საბრუნავი კაპიტალის გარკვეული ბაზის საფუძველზე შექმნას შემოსავლები საბრუნავი კაპიტალის ბრუნვა არის თანაფარდობა, რომელიც ადგენს წმინდა გაყიდვების პროპორციას საბრუნავ კაპიტალთან და ის ზომავს რამდენად ეფექტურად აქცევს ბიზნესი თავის საბრუნავ კაპიტალს გაყიდვების გაზრდილ რიცხვად. საბრუნავი კაპიტალის ბრუნვის კოეფიციენტი ცხადყოფს კავშირს ბიზნეს ოპერაციების დასაფინანსებლად გამოყენებულ ფულსა და შედეგად წარმოქმნილ შემოსავალს შორის.

Working capital turnover ratio= ნეტო გაყიდვები / (მთლიანი აქტივები - მთლიანი ვალდებულებები) = $1519504 / (7483176 - 20968056) = 1519504 / (-13484880) = -0.11$

3. ლევერიჯის კოეფიციენტები (Leverage ratios) ეს კოეფიციენტები ახასიათებენ საწარმო რა ხარისხით იყენებს სესხებს თავის საქმიანობაში და ამ სესხების დაფარვის უნარს

3.1 ვალდებულების ფარდობა საკუთარ კაპიტალთან (Debt to equity ratio) აჩვენებს თუ საწარმოს მმართველობა რა ხარისხით აფინანსებს თავის ოპერაციებს ვალდებულებებით

$$\text{Debt-to-Equity Ratio} = \text{მთლიანი ვალდებულებები/საკუთარი კაპიტალი} = \\ = 20968056 / (-13484880) = -1.55$$

3.2 ვალდების დაფარვის კოეფიციენტი (Debt service coverage ratio) ახასიათებს კომპანიის შესაძლებლობას გადაიხადოს მისი სასესხო ვალდებულებები

$$\text{Debt-Service Coverage Ratio} = \text{ნეტო საოპერაციო შემოსავლები/ მთლიანი ვალდების დაფარვა} = (\text{შემოსავლები-საოპერაციო ხარჯები}) / \text{მიმდინარე ვალდებულებები} = \\ = (-47155) / 113437 = -0.4$$

16. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებს და ცვლილებებს ფინანსურ ანგარიშგებაში

შედგენის თარიღი 31.05.2021

დირექტორი
ჯერუი მარიან ბერძი

ფინანსური დირექტორი

მაკა მიქელაძე

